# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №5

ქ. მცხეთა 18 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბემბ-2009", მისი დირექტორის ზურაბ მაჩხანელის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", (მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 18 იანვრის №40 ბრძანების) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## ხელშეკრულების საგანი

1.1 ქ. მცხეთაში, სოფ. წეროვანში და სოფ. საგურამოში გარე განათების ქსელის ტექნიკური მომსახურება (CPV:50232100 ).

## 2. მომსახურების შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების შესრულების ვადა განისაზღვრის 2012 წლის იანვრის თვეში.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 5 452 (ხუთიათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.1 ელექტროენერგიის ღირებულება გადახდილი იქნება მიმწოდებლისათვის წარმოდგენილი ანგარიშფაქტურებისა და შედარების აქტის საფუძველზე;
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მიღებული მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას მოახდენს მცხეთის, წეროვნის და საგურამოს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"

შპს „ბებე-2009"
ს/კ 236098021
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE48LB0113111382375000

მის: ქ. მცხეთა, გამსახურდიას ქ. №13

დირექტორი

ზ. მანხაძე

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000

მის: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №73

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გ. ალაშვილი